სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს
გადაწყვეტილება № 502

(ოქმი № 437)

თბილისი 2020 წლის 29 დეკემბერი

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს წევრების ჰონორარების ოდენობის განსაზღვრა მაუწყბლობის შესახებ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად

ვინაიდან, სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს 2021 წლის ბიუჯეტის ოდენობა შეადგენს 882 300 (რვაას ოთხმოცდაორიათას სამასი) ლარს, რომლიდანაც სამეურვეო საბჭოს წევრების ჰონორარებისათვის გამოყოფილი თანხა შეადგენს 588 200 (ხუთას ოთხმოცდარვაათას ორასს) ლარს,

"მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად,

1. სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარის ჰონორარი განისაზღვროს თვეში 7 424 (შვიდიათას ოთხას ოცდაოთხი) ლარის ოდენობით;
2. სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ჰონორარი განისაზღვროს თვეში 5 724 (ხუთიათას შვიდას ოცდაოთხი) ლარის ოდენობით;

3. სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მეურვის ჰონორარი განისაზღვროს თვეში 5 124 (ხუთიათას ასოცდა ოთხი) ლარის ოდენობით.

4. წინამდებარე გადაწყვეტილება ძალაშია 2021 წლის იანვრიდან.

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე:

ირინა ფუტკარაძე

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე:

მიხეილ ჩიკვილაძე

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს წევრები:

ბესიკ ლილუაშვილი

გიორგი ნიჟარაძე

იზაბელა ოსიპოვა

ირაკლი პაპავა

გრიგოლ მურღულია

ზაზა აბაშიძე

ბონდო მძინარაშვილი